განკარგულება:**გ-63. 632435925**
თარიღი:**24/12/2024**

,შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2025 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ თავი მე-3, მუხლი 16-ე, პუნქტი მე-2 „ტ“ ს და თავი მე-4, მუხლი 24, პუნქტი 2-ის შესაბამისად განიხილა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს 2025 წლის ხარჯის, მათ შორის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს 2025 წლის პროგრამა (დანართი N1).
2. დამტკიცდეს შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს 2025 წლის შემოსავლების, მათ შორის სუბსიდიის გეგმა (დანართი N2).
3. დამტკიცდეს შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს 2025 წლის ხარჯი (დანართი N3).
4. დამტკიცდეს შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს 2025 წლის საშტატო განრიგი და 2025 წლის სახელფასო ფონდი (დანართი N4).
5. დამტკიცდეს შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს 2025 წლის საცურაო აუზისა და სპორტულ ნაგებობათა გამოყენების მომსახურების ტარიფი (დანართიN5).

დანართი N1

შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს 2025 წლის პროგრამა

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) : 05 01 02 04

პროგრამის აღწერა და მიზანი:

სპორტი ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი ასევე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობასა და მათი ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაში. შპს ,,სპორტული კომპლექსი–სამტრედია“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ–გამაჯანსაღებელ მოძრაობაში. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება. შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი–სამტრედია“ არის სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის, ცენტრალური საფეხბურთო მოედნის, სპორტული დარბაზის, საცურაო აუზის,

მინი საფეხბურთო მოედნების და მისი მიმდებარე ტერიტორიების დროებით მოსარგებლე. მისთვის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ამ ტერიტორიის მოვლა.შენახვა და მოსწავლეთათვის, შპს ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს სპორტსმენთათვის, ქალაქისა და ეროვნული ნაკრები გუნდების წევრებისათვის მატერიალურ–ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა და ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა. შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს ძირითად საქმიანობაში შედის საცურაო აუზით, საფეხბურთო მინი მოედნებით, ცენტრალური საფეხბურთო მოედნითა და სპორტული დარბაზით მომსახურეობა. მისი მიზანია მაქსიმალურად დამაკმაყოფილებელი პირობების შექმნა მოზარდი თაობების ჯანსაღი ცხოვრების წესით აღზრდაში. ცენტრალური საფეხბურთო მოედანი სამტრედიის მუნუციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების თანახმად უფასოდ ემსახურება საფეხბურთო სპორტულ კლუბ სამტრედიას და სპორტული სკოლის აღსაზრდელებს. ეხმარება და უზრუნველყოფს მათ მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით და მათი ვარჯიშისა და მატჩებისთვის საუკეთესო პირობებით. მისი მიზანია, ბავშვთა და ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარება, შპს სპორტული კომპლექსი-სამტრედიას ჰყავს ნორჩ ფეხბურთელთა გუნდები, რომლებიც წარმატებით ასპარეზობენ სხვადასხვა საფეხბურთო ტურნირებსა თუ ღონისძიებებში. ცდილობს რაც შეიძლება მრავლად ჩაერთოს სპორტულ გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში მოსწავლე ახალგაზრდობა. საცურაო აუზი დატვირთულია მთელი წლის განმავლობაში. აქ მაქსიმალურად დაცულია ჰიგიენური პირობები, ცურვის სპეციალისტი და მასაჟისტი ემსახურება სქოლიოზით დაავადებულ მოზარდებს. ცენტრალურ საფეხბურთო მოედანზე მიმდინარეობს საფეხბურთო მატჩები და ტარდება სხვადასხვა საფეხბურთო ღონისძიებები. შპს ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს თანამშრომლები მაქსიმალურად ცდილობენ მოედნის პირობები აკმაყოფილებდეს, ნებისმიერი ლიგის სტანდარტებს. სპორტულ დარბაზში, ტარდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, მაქსიმალური პირობების დაცვით.

დანართი N2

შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს 2025 წლის შემოსავლების გეგმა

N	**შემოსავლების დასახელება**	**თანხა (ათას ლარებში)**
I	**სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან**	**765,00**
II	**საკუთარი შემოსავალი მათ შორის**	**110,00**
1	საცურაო აუზის სააბონემენტო შემოსავალი	100,00
2	დარბაზის გამოყენება	1,00
3	მასაჟიდან მიღებული შემოსავალი	1,00
4	ცენტრალური საფეხბურთო მოედნის გაქირავებით მიღებული შემოსავალი	8,00
	სულ ჯამი	**875,00**

დანართი N3

შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს 2025 წლის ხარჯი ათას ლარებში

		სულ ჯამი		

ეკ. კლას. კოდი	ორგანიზაციული კოდი	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან და საკუთარი შემოსავლებიდან	2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სუბსიდიით გასაწევი ხარჯები	2025 წლის საკუთარი შემოსავლებით გასაწევი ხარჯები
		შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია"	875,00	765,00	110,00
		მომუშავეთა რიცხოვნობა	57	57	
2		ხარჯები	872,00	764,00	108,00
2.1		შრომის ანაზღაურება	453,00	453,00	0,00
2.2		საქონელი და მომსახურება	411,50	305,00	106,50
2.7		სოციალური უზრუნველყოფა	7,50	6,00	1,50
31		არაფინანსური აქტივების ზრდა	3,00	1,00	2,00
31.1		ძირითადი აქტივები	3,00	1,00	2,00

დანართი N4

შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია"ს 2025 წლის საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი (ლარი)

N	თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეულის რაოდენობა	სარგო თვეში ადგ. ბიუჯეტით საშტატო რაოდენობის მიხედვით	სულ წლიური ხელფასი
1	დირექტორი	1	1863	**22356**
2	მთავარი სპეციალისტი	1	1694	**20328**
3	მთავარი სპეციალისტი(ბუღალტერი)	1	1694	**20328**
4	წამყვანი სპეციალისტი	1	1440	**17280**
5	უფროსი სპეციალისტი	1	1004	**12048**
6	უფროსი სპეციალისტი	1	932	**11184**
7	სპეციალისტი	1	653	**7836**
8	სპეციალისტი	1	653	**7836**
9	სპეციალისტი	1	411	**4932**
10	დარბაზის და სატადიონის მენეჯერი	1	872	**10464**
11	საცურაო აუზის მენეჯერი	1	859	**10308**
12	ადმინისტრატორი	1	465	**5580**
13	ექიმი	1	465	**5580**
14	ექთანი	1	387	**4644**
15	ექთანი–მასაჟისტი	1	465	**5580**
17	სპეციალისტი	1	465	**5580**

18	სპეციალისტი	1	351	**4212**
19	სპეციალისტი	1	453	**5436**
20	ცეცხლფარეში	2	726	**8712**
21	მწვანე საფარის მომვლელი	3	1578	**18936**
22	ელექტრიკოსი	1	436	**5232**
23	ტექნიკოსი	1	436	**5232**
24	მეეზოვე	2	630	**7560**
25	დამლაგებელი	6	1890	**22680**
26	დარაჯი	6	2178	**26136**
27	ფეხბურთის მწვრთნელი	1	847	**10164**
28	ფეხბურთის მწვრთნელი	9	5445	**65340**
29	ფეხბურთის მწვრთნელი	2	1452	**17424**
30	ფეხბურთის მწვრთნელი	2	2588	**31056**
31	ფეხბურთის მწვრთნელი	2	2396	**28752**
32	ფეხბურთის მწვრთნელი	1	1004	**12048**
33	მძღოლი	1	1016	**12192**
	სულ	**57**	**37748**	**452976**

დანართი N5

შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს მომსახურების ტარიფები

1. საცურაო აუზის მომსახურების ტარიფები:

1.1. ერთი საათით ერთჯერადი მომსახურების ტარიფები:

ა) მოზარდებზე 6 წლის ასაკიდან 16 წლის ჩათვლით 5 ლარი.

ბ) მოზრდილებზე 16 წლის ზემოთ 8 ლარი.

1.2. საცურაო აუზის სააბონემენტო მომსახურების ტარიფები;

ა) 16 წლამდე ასაკის 12 საათიანი სააბონემენტო მომსახურება 30 ლარი (დღეში ერთი საათი).

ბ) 16 წლის ზემოთ ასაკის მოზრდილების 12 საათიანი სააბონემენტო მომსახურება 60 ლარი. (დღეში ერთი საათი).

გ) 16 წლამდე ასაკის 20 საათიანი სააბონემენტო მომსახურება 50 ლარი. (დღეში ერთი საათი).

დ) 16 წლის ზემოთ ასაკის მოზრდილების 20 საათიანი სააბონემენტო მომსახურება 100 ლარი. (დღეში ერთი საათი).

ე) **ტარიფი-დედმამიშვილები** 2 ბავშვის შემადგენლობით 12 საათიანი სააბონემენტო მომსახურება 45 ლარი (დღეში ერთი საათი).

ვ) **ტარიფი-დედმამიშვილები** 2 ბავშვის შემადგენლობით 20 საათიანი მომსახურება 80 ლარი. (დღეში ერთი საათი).

2 ბავშვზე მეტი თითოეული დედმამიშვილის შემთხვევაში ტარიფს ემატება 10 ლარი.

ზ) **ტარიფი-საოჯახო:** 3 წევრისგან შემდგარი ოჯახისთვის 12 საათიანი მომსახურება 100 ლარი (დღეში ერთი საათი).

3 წევრზე მეტი ოჯახის თითოეული წევრის შემთხვევაში ტარიფს ემატება 10 ლარი.

თ) **ტარიფი-კორპორატიული**: 5 ადამიანისგან შემდგარი ჯგუფისთვის 12 საათიანი მომსახურება 250 ლარი. (დღეში ერთი საათი).

5 წევრზე მეტი ადამიანის შემთხვევაში თითოეულ წევრზე ტარიფს ემატება 10 ლარი.

ი) **ტარიფი-სოციალურად დაუცველთა (120000-ზე ნაკლები ქულის მქონე!)და ყველა შშმ პირთათვის: ყველა პაკეტზე 50% იანი შეღავათი. (დღეში ერთი საათი).**

ყველა სახის აბონემენტით მოსარგებლე მომხმარებლისთვის აბონემენტის მოქმედების ვადაა 30 დღე.

1.3. ცურვის შესწავლის ტარიფი:

ა)ცურვის შესწავლის ერთსაათიანი გაკვეთილი 8 ლარი.

2.მასაჟის ერთჯერადი მომსახურება 10 ლარი.

3.სათადარიგო სპორტული მოედნის გამოყენების ტარიფი 1 საათით 200 ლარი.

4.სპორტული დარბაზის 1 საათით ერთჯერადი მომსახურების ტარიფი ერთი ადამიანისთვის 5 ლარი.

5. ეროსი მანჯგალაძის სახელობის ცენტრალური საფეხბურთო მოედნის ერთი საფეხბურთო მატჩის განმავლობაში გამოყენების ტარიფი 2500,00 ლარი.

საფეხბურთო კლუბი ,,სამტრედია“ და ააიპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა“ გათავისუფლებულია მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებით დაწესებული ტარიფების გადახდისაგან.

6. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი